ს.ს.ი.პ. კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №68-ა

ქ. თბილისი 10 სექტემბერი 2020 წელი

სსიპ - კოლეჯში "სპექტრი" დასაქმებული (ადმინისტრაციის) პირების შეცვლილი თანამდებობრივი ფუნქციების დამტკიცების შესახებ

სსიპ - კოლეჯის ''სპექტრი'' დირექტორის მოადგილის ვარლამ ავალიშვილის მიერ წარმოდგენილია 2020 წლის 10 სექტემბრის სამსახურებრივი ბარათით დასამტკიცებლად დანართის სახით კოლეჯში დასაქმებული (ადმინისტრაციის) პირების შეცვლილი თანამდებობრივი ფუნქციები.

"პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, სსიპ -- კოლეჯის "სპექტრი" წესდების მე-5 მუხლის "ი" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - კოლეჯში "სპექტრი" დასაქმებული (ადმინისტრაციის) პირების შეცვლილი თანამდებობრივი ფუნქციები დანართების შესაბამისად.

2. ბრძანების შესაბამისი პირისათვის გაცნობა უზრუნველყოს კოლეჯის საქმისმწარმოებელმა ინა ქვრივიშვილმა.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52) და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში (მისამართი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

კოლეჯის დირექტორი რეინ ტაკიძე